



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების  
გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული  
საქმიანობების შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

თბილისი,  
2013 წელი

## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები

საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

### ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის:

- საარჩევნო უბნებზე სპეციალური კაბინების მოწყობა;
- საარჩევნო უბნებზე მუდმივი/დროებითი პანდუსების განთავსება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მობილური ჯგუფებით საარჩევნო უბნამდე გადაადგილება.

### სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის:

- შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით ცესკოს სარეკლამო რგოლების თარგმნა ქვესტურ ენაზე;
- საუბნო საარჩევნო კომისიებში, კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ პროცედურული ვიდეო რგოლის გავრცელება, სურდოთარგმანის თანხლებით.


### უსინათლო ამომრჩევლებისთვის:

- საპილოტე პროექტი - საარჩევნო ბიულეტენების შესავსები ჩარჩო/ფორმის დამზადება;

## ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის:

### საარჩევნო უბნებზე სპეციალური კაბინების მოწყობა


საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის №9 ნამალადევის, №52 ბაღდათისა და №54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალ უბნებზე, განთავსდა სპეციალური ხმის მიცემის კაბინები.



### საარჩევნო უბნების ადაპტირება

საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის, ცესკოს თავმჯდომარემ წერილობით მიმართა: ქ. თბილისის მერს, ბაღდათისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლებს, ზოგიერთ საარჩევნო უბნზე ელიტ მოსიარულე ამომრჩევლებისათვის მუდმივი პანდუსების მოწყობის შესახებ.

№9 ნამალადევის, №52 ბაღდათისა და №54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალ უბნებზე ადაპტირებული/არა ადაპტირებული უბნების სტატისტიკა:



ქ. თბილისის მერის, ბაღდათისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოგზავნილი წერილების თანახმად მოთხოვნილ უბნებზე არ იქნა მოწყობილი მუდმივი პანდუსები.

არჩევნების დღეს, №9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ 4 საარჩევნო უბანზე (5, 50, 57, 74) განთავსდა 4 პორტატული პანდუსი.

### **პროექტი - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მობილური ჯგუფებით საარჩევნო უბანამდე გადაადგილება“**

საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში ჩართულობის უზრუნველყოფისათვის, განხორციელდა მობილური ჯგუფების მიერ შშმ ამომრჩევლების საარჩევნო უბანამდე გადაადგილება. აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა, ტელე და რადიო ეთერის საშუალებით. ასევე, ცესკოს ცხელი ხაზის საშუალებით, შშმ ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდათ ინფორმაცია მიეღოთ და დარეგისტრირებულიყვნენ ზემოაღნიშნული მომსახურების მიღების შესახებ.

პროექტი განხორციელდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ა/ო კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ თანამშრომლობითა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით.

### **სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის:**

#### **ცესკოს სარეკლამო რგოლების თარგმნა ჟესტურ ენაზე**

შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით, სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის, ცესკომ უზრუნველყო, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში, ცესკოს მიერ შუალედური არჩევნებისთვის მომზადებული საარჩევნო პროცედურების შესახებ ვიდეო რგოლი განთავსება სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა);

#### **საუბნო საარჩევნო კომისიებში, კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ პროცედურული ვიდეო რგოლის გავრცელება, სურდოთარგმანის თანხლებით**

№9 ნაძალადევის, №52 ბაღდათისა და №54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიებში შევამალ საუბნო საარჩევნო კომისიებში, გავრცელდა კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ პროცედურული ვიდეო რგოლი, სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა).

## უსინათლო ამომრჩევლებისთვის:

### საპილოტე პროექტი - უსინათლო ამომრჩევლებისათვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ ფორმის დამზადება

საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 27 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის, უსინათლო ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა საპილოტე პროექტი „უსინათლო ამომრჩეველთა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ ფორმის გამოყენება“.

აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, ცესკომ მიიღო შემდეგი სახის ნორმატიული აქტები:

- ❖ უსინათლო ამომრჩეველთა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის აღწერისა და გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ *(დადგენილება №14/2013 - „2013 წლის 27 აპრილს გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის უსინათლო ამომრჩეველთა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის აღწერისა და გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“)*.
- ❖ საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის დამტკიცების შესახებ. *(განკარგულება - №106/2013 - „2013 წლის 27 აპრილს გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის უსინათლო ამომრჩეველთა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის დამტკიცების შესახებ“)*.

### საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის აღწერა

- ❖ საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო დამზადებულია სპეციალურ ბრაილონის ქაღალდისგან, რომელიც არის დაკეცილი;
- ❖ საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩოს შუაში თავსდება საარჩევნო ბიულეტენი;
- ❖ საარჩევნო ბიულეტენის შესაბამისად, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რიგითი ნომრები ზუსტად ემთხვევა ჩარჩოზე ამოჭრილ წრეებს;
- ❖ ყოველი წრიული ჭრილის გასწვრივ რელიეფურად მითითებული არის ციფრი ბრაილის შრიფტით და ციფრი არაბული, ანუ ბრტყელი შრიფტით.

ზემოაღნიშნული ჩარჩო/ფორმის დამზადდა ბრაილონის სპეციალური აპარატის გამოყენებით.

### საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის ტესტირება

საპილოტე პროექტის უსინათლო ამომრჩეველთა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის ტესტირების მიზნით, დეპარტამენტმა გამართა შეხვედრა უსინათლო ამომრჩევლებთან. შეხვედრაზე, უსინათლო ამომრჩევლების მონაწილეობით (18 უსინათლო) მოეწყო კენჭისყრის დღის იმიტაცია, სადაც გამოყენებულ იქნა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმები. ასევე, პროცესის მიმდინარეობისას, ჩაუტარდათ გამოკითხვა: თუ რამდენი უსინათლო ფლობდა ბრაილს და რომელ კანდიდატს დაუჭირა მხარი.

ასევე, მოეწყო შეხვედრა ცესკოს წევრებთან ზემოაღნიშნული საპილოტე პროექტის განხორციელების შესახებ.

საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა გავრცელდა №9 ნაძალადევის, №52 ბაღდათისა და №54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიებში შევამალ ყველა საარჩევნო უბანზე (177 უბანი).

უბნზე მისულ უსინათლო ამომრჩევლებმა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის გამოყენების შეძლეს ხმის მიცემა. ასევე, გარდა ბრაილის შრიფტის მცოდნე უსინათლო ამომრჩევლისა, დამოუკიდებლად არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდათ იმ უსინათლო ამომრჩევლებს, რომლებიც ვერ კითხულობს ბრაილს.

**ნაძალადევის, ბაღდათისა და სამტრედიის რაიონებში მცხოვრები უსინათლოთა რაოდენობა ოლქების შესაბამისად:**

